საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამების
2023 წლის წლიური ანგარიში პროგრამების შესახებ

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება - (30 01)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ორგანოები

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 01	<u>საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება</u>	**892 135.0**	**863 407.2**	**863 176.7**	**99.97%**	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში თანამდებობაზე დაინიშნა 77 მართლწესრიგის ოფიცერი, განხორციელდა 30 მართლწესრიგის ოფიცრის თანამდებობრივი დაწინაურება და მართლწესრიგის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე დანიშვნა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში მართლწესრიგის ოფიცრის და მართლწესრიგის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე დანიშნულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 379-ს, რომელთაგან 242 არის მართლწესრიგის ოფიცერი, ხოლო 137 - მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამინისტროსათვის დამატებით 685 საშტატო ერთეულის გამოყოფა. ასევე, სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს გამოეყო რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი;
- სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ 8 უცხოელს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გაეწია სამედიცინო მომსახურება;

- სამინისტროს მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, 3 უცხოელისთვის და ესკორტის წევრებისთვის განხორციელდა სამგზავრო ავია-ბილეთის შეძენა და მათი წარმოშობის ქვეყანაში იძულებითი დაბრუნება;
- საანგარიშო პერიოდში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა და შესაბამისი ავეჯით აღიჭურვა დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის №3 დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო), აღნიშნულ იზოლატორში ასევე მოეწყო სამედიცინო პუნქტი;
- საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: დროებითი მოთავსების იზოლატორებს გადაეცა ავეჯი და ელექტრო ტექნიკა (მათ შორის კომპიუტერები და მულტიფუნქციური პრინტერები);
- უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის, ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის №1 და №2 დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სხვადასხვა სახის სამუშაოები;
- უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესების მიზნით გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა სხვადასხვა სახის სამუშაოები;
- დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა 10 ცალი დაქტილოსკოპიის აპარატის შესყიდვა და მონტაჟი დროებითი მოთავსების 10 იზოლატორში, ასევე, შესყიდული და დამონტაჟებული იქნა 17 ცალი ვიდეო დომოფონი 17 დროებითი მოთავსების იზოლატორში;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კრიმინალური დოკუმენტური ტელეგადაცემის ტიპის მინისერიალის გადასაღებად საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (გადაღებულია და გაშუქებულია 14 სერია);
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მხატვრული ვიდეო რგოლის „უსაფრთხო ტურიზმის“ შესყიდვა და ეთერში განთავსება.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან და არაბთა გაერთიანებული საამიროების ახლად დანიშნულ ელჩთან;
- ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი სამინისტროში და შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრთან;
- თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული პოლიციის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი, კონტრაბანდისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის დირექტორის ხელმძღვანელობით;
- მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალურ რწმუნებულის - ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან;

- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა საქართველოში უნგრეთის რესპუბლიკის და საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა გერმანიის ფედერალურ შინაგან საქმეთა მინისტრთან და გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის (BKA) პრეზიდენტთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის სამუშაო ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში და მონაწილეობა პოლიციის საერთაშორისო კონფერენციაში, რომელსაც ესწრებოდნენ 20-ზე მეტი სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი პირები;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა დემოკრატიული და სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის ხელშეწყობის საკითხებში გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან და ისრაელის ეროვნული პოლიციის დელეგაციის ოფიციალური სამუშაო ვიზიტი სამინისტროში, ისრაელის ეროვნული პოლიციის კომისრის ხელმძღვანელობით; შინაგან საქმეთა მინისტრის, შეხვედრა ისრაელის ეროვნული პოლიციის კომისართან
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების (ავსტრიის, ჩეხეთის, გერმანიის, დანიის სამეფოს, ესტონეთის, ესპანეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვას, ნიდერლანდების, პოლონეთის, რუმინეთისა და შვედეთის სამეფოს) ელჩებთან და საელჩოების წარმომადგენლებთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურ მდივანთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის (DOE) ბირთვული უსაფრთხოების საკითხების მდივნის მოადგილესა და ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა ირლანდიის პარლამენტის თავმჯდომარესთან; ირლანდიის პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი სსიპ მომსახურების სააგენტოში, ირლანდიის პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი უნგრეთის რესპუბლიკაში და შეხვედრა უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეების მონაწილეობა თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით გამართულ თავდაცვის დარგში რიგით მე-16 საერთაშორისო გამოფენაში;
- შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ოფიციალური ვიზიტი ისრაელში, ქ. თელ-ავივში, ისრაელის ეროვნულ პოლიციაში;

- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ სომხეთის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარესთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ხელმძღვანელობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ლიეტუვის რესპუბლიკაში;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური (ვენის) ოფისის (IOM SEEECA) დირექტორთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა საქართველოში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით მყოფ თურქეთის რესპუბლიკის მთავარ ომბუდსმენთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა საქართველოში ვიზიტით მყოფ გაერო-ს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT) წარმომადგენლებთან, ასევე, სამუშაო ხასიათის შეხვედრა საქართველოში გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მისიის ხელმძღვანელთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა საქართველოში ისრაელის და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ოფიციალური სამუშაო ვიზიტი ავსტრიის რესპუბლიკაში და შეხვედრა ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ სომხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების საბჭოს მდივანთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ხელმძღვანელობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ლატვიის რესპუბლიკაში;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მონაწილეობა ქ. ჟენევაში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 75-ე წლისთავის აღსანიშნავად გამართულ მაღალი დონის ღონისძიებაში;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის სამუშაო ხასიათის შეხვედრა გაერო-ს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ავსტრიის რეგიონული ოფისის დირექტორთან;
- გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში და შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან.

➢ ხელი მოეწერა შემდეგ საერთაშორისო შეთანხმებებს:
  - „საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას;
  - „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე“ ოქმს;

- „საბერძნეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ნატოს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციის „ზღვის მცველი“ განმავლობაში საბერძნეთის საზღვაო ძალების ხომალდების ბორტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის პერსონალის მონაწილეობის თაობაზე“ ტექნიკურ შეთანხმებას;
- „საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების დროს ურთიერთდახმარების და მათი პრევენციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიგრაციისა და მობილობის შესახებ“ შეთანხმებას.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შემდეგი მრავალწლიანი პროექტები:

- ადიგენის რაიონის სოფელ აბასთუმანში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს პოლიციის ადმინისტრაციული შენობისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო - სამაშველო შენობის დასრულების სამშენებლო სამუშაოები;
- გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს დანაყოფისთვის: ყაზარმის, სასადილოს, სპორტდარბაზის, გამშვები პუნქტის, ავტოფარდულის, სამი ცალი ცალკე მდგომი სველი წერტილის შენობის, საქვაბის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის დასრულების სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დანაყოფის დისლოკაციისთვის შესაბამისი ბაზის სამშენებლო სამუშაოები და ასევე, ქ. ქუთაისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობა №1-ში (არსებული სასადილო) სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №1-ში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს დანაყოფისთვის ოთხსართულიანი ყაზარმის მშენებლობის, საქვაბის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. №11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №05/5-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შენობა №1(6)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდაში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის, ყაზარმის შენობის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №1-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შენობა №18(1)-ს რეკონსტრუქციის და ახალი ღია ავტოფარდულის სამშენებლო სამუშაოები;

- ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. №10-ში სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის, შენობა №01/10-ის მე-3 სართულის სარემონტო სამუშაოები;
- ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენში, მე-8 ქუჩა №4ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, იაკობ ცურტაველის ქუჩა №24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №1/4-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობა №1/3-ის და შენობა №4/1-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ადლიას ქუჩა №112-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსისთვის საკანალიზაციო ნარჩენების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- გურჯაანში, იოსებ ნონეშვილის გამზირ №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შენობა №02(2)-ის სარემონტო და ეზოს კედელზე მავთულხლართის მოწყობის და ქ. თელავი, აჩინებულში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №01(1)-ის სადემონტაჟო სამუშაოები;
- სენდვიჩ პანელის შენობების სამშენებლო, სარემონტო-სარეკონსტრუქციო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა (ქ.თბილისი: ე. ბაღდავაძის ქ. №8, ქიზიყის ქ. №1 და კახეთის გზატკეცილი №135);
- სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის დაზიანებული მილგაყვანილობის შეცვლის სამუშაოები და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის I სართულის სარემონტო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ქ. თბილისში, ნ. რამიშვილის ქ. №38-ში მდებარე სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ჰაერსატარი მილების და მინის ფასადის სარემონტო სამუშაოები, ახალციხეში, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შენობის გაგრილების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს მახინჯაურის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-3 სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე რემონტი (მე-2 სართულის სავენტილაციო სისტემის მოწყობა) და ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს სახურავის/ტერასის ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები;
- სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის, ლისის და საგურამოს პოლიციის განყოფილებების შენობების მიმდინარე რემონტი;
- სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს ქ. დუშეთის, თიანეთის რაიონული სამმართველოს დაბა თიანეთისა და ხევსურთსოფლის პოლიციის განყოფილების შენობების სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალგორის რაიონული სამმართველოსა და გუდაურის პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და მისი დანაყოფების ადმინისტრაციულ შენობებში სარემონტო და ალუმინის ტიხრების მოწყობის სამუშაოები;
- სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ადიგენის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სახურავის მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის და ბაღდათის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე რემონტი, დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე რემონტი და თერჯოლის რაიონული სამმართველოს ნახშირღელეს პოლიციის განყოფილების შენობის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ამაღლებული ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი;
- გაუმჯობესებული საზოგადოებრივი წესრიგი და დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციონირების სრულყოფა;
- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა, განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ავტოპარკი, გაუმჯობესებული და დაცული სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ამაღლებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი;
- სამინისტროს 12 ტერიტორიულ ორგანოში დანერგილია ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა და 3 ტერიტორიულ ორგანოში ამოქმედებულია მართლწესრიგის ოფიცრის სამსახური (ინსტიტუტი). სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 12 ლაბორატორია აკრედიტებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მოთხოვნების შესაბამისად;
- სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციონირების სრულყოფის მიზნით განახლებულია პატრულ-ინსპექტორების სპეციალური აღჭურვილობა, შექმნილია ბათუმის ერთიანი მომსახურების სერვისცენტრი;
- რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურის ნაწილი, განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ავტოპარკის ნაწილი, გაუმჯობესებულია სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. ინდიკატორის დასახელება - საზოგადოებრივი წესრიგის, დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მართლწესრიგის ოფიცრის სამსახური მოქმედებს სამინისტროს 2 ტერიტორიულ ორგანოში; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა დანერგილია სამინისტროს 4 ტერიტორიულ ორგანოში; ISO17025:2017-ის მიხედვით აკრედიტაცია გავლილი აქვს ექსპერტიზის 13 ლაბორატორიას. სამინისტროს 6 ლოკაციაზე შექმნილია ბავშვის ინტერესზე მორგებული სივრცე. შესაბამის დანაყოფებში დასაქმებულია 17 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედებულია სულ სამინისტროს 4 ტერიტორიულ ორგანოში; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა დანერგილია სამინისტროს 11 ტერიტორიულ ორგანოში; აკრედიტებულია 23 ლაბორატორია და მიღწეული შედეგები შენარჩუნებულია; სამინისტროს 2 ლოკაციაზე (შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში) შექმნილია ბავშვზე მორგებული სივრცე, დანაყოფებში ფუნქციონირებს ბავშვზე მორგებული გარემო/სივრცე; შესაბამის დანაყოფებში დასაქმებულია მინიმუმ 33 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2023 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედებულია სულ სამინისტროს 3 ტერიტორიულ ორგანოში. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა დანერგილია სამინისტროს ყველა (12) ტერიტორიულ ორგანოში და დაკომპლექტებულია შესაბამისი კადრებით (დეტექტივ-ანალიტიკოსი/უფროსი დეტექტივ-ანალიტიკოსი). სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 12 ლაბორატორია აკრედიტებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მოთხოვნების შესაბამისად. 2023 წელს დაგეგმილი, სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის შენობაში ბავშვზე მორგებული სივრცის შექმნა განხორციელდება საშუალოვადიან

პერიოდში; სამინისტროს დანაყოფებში სულ დასაქმებულია მოწმისა და დაზარალებულის 13 კოორდინატორი.

2. ინდიკატორის დასახელება - ერთიანი მომსახურების ცენტრების ფუნქციონირების მაჩვენებელი;
დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ერთიანი მომსახურების ცენტრი ხელმისაწვდომია 4 მუნიციპალიტეტში (თბილისში, რუსთავში, მცხეთასა და გორში);
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შექმნილია და ფუნქციონირებს ერთიანი მომსახურების ცენტრის 5 ახალი სერვისცენტრი (ბათუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, თელავი და ახალციხე);
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2023 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: შექმნილია და ფუნქციონირებს ერთიანი მომსახურების ბათუმის სერვისცენტრი.

3. ინდიკატორის დასახელება - სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორების სპეციალური საშუალებებით აღჭურვის მაჩვენებელი;
დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორები აღჭურვილნი არიან არასრულად განახლებული სპეციალური საშუალებებით. განახლებულია სპეცაღჭურვილობის 40%;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 100%;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2023 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორების სპეციალური აღჭურვილობა განახლებულია 25%-ით (შეძენილია: საავტომობილო ციმციმა ხმამაღლამოლაპარაკით (მონტაჟი) 70 კომპლექტი, საავტომობილო ბორტ-კომპიუტერი 100 კომპლექტი, ალკოტესტები 100 კომპლექტი, სამკერდე კამერა 80 კომპლექტი და სამკერდე კამერების 51 ერთეული მუდმივმოქმედი ლიცენზია).

4. ინდიკატორის დასახელება - სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ავტოპარკის და ინფრასტრუქტურის განახლების მაჩვენებელი;
დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 65%. სამინისტროს ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების 30% აკმაყოფილებს სამუშაო პირობებს სრულად;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 20%-ით განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; რეაბილიტირებულია ინფრასტრუქტურის 20%, აშენებულია დამატებით 5 შენობა. 6%-ით განახლებულია ავტოპარკი;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2023 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: 5%-ით განახლდა სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ბაზა: საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა: მრავალსპექტრული ხელის ანაბეჭდის გამოსავლენი პორტატიული მოწყობილობები, ჰაბიტოსკოპიური სისტემის - „POLYFACE"-ის პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ვერსიის განახლება, ბალისტიკური ავტომატური საძიებო საიდენტიფიკაციო სისტემა „ARSENAL"-თვის დამატებითი სკანერები (კომპლექტში - ინსტალაციით), დაქტილოსკოპიურ ავტომატურ საძიებო-საიდენტიფიკაციო სისტემა „DACTO 2000"-თან თავსებადი დამატებითი სკანერები (კომპლექტში -

ინსტალაციით), საექსპერტო სისტემა - „XRY & XAMN Bundle“-ის ლიცენზიის გასაღები, კომპიუტერული მოწყობილობებიდან ინფორმაციის ანალიზის, ამოღების და აღდგენის პროგრამული უზრუნველყოფა, საექსპერტო პროგრამულ-აპარატურული უზრუნველყოფის ნაკრები, საექსპერტო სისტემა Amped-ის პროგრამული უზრუნველყოფის დამატებითი დაშვების უფლებები (User-ები), ბიოლოგიურ მასალაში (შარდში) ფსიქოაქტიური ნივთიერებების დასადგენი იმუნოქრომოტესტები, არსებული „REGULA“-ს ფირმის დოკუმენტების და ბანკნოტების მონაცემთა ბაზების ლიცენზიის გაგრძელება და არსებული ბაზების დამატებითი ლიცენზია (ინსტალაციით), ფონოსკოპიური ექსპერტიზის სისტემა;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და გრძელდება, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საჭიროებების სრულყოფილად დაკმაყოფილების მიზნით, უნიფორმებისა და შესაბამისი აღჭურვილობის დამატებით შესყიდვა, ასევე, სამინისტროს დანაყოფებისათვის საველე საზაფხულო უნიფორმის შესყიდვა, განხორციელდა ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმლის და სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მოსამსახურეებისთვის ყველა სეზონის მაღალყელიანი ფეხსაცმლის სახელმწიფო შესყიდვა, სამინისტროს საპოლიციო დანაყოფებისათვის ქურთუკების შესყიდვა;
- 2021 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამინისტროს მასშტაბით კავშირგაბმულობის სისტემის „Dimetra”-ს განახლების და მხარდაჭერის მომსახურების (ვადაგაგრძელებული საგარანტიო მომსახურება) პროცესი;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა: სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ნივთიერ მტკიცებულებათა დასალუქი პაკეტები, 800 ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერ(ებ)ის კომპლექტი (სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) (შემდგომში სტანდარტული დესკტოპი), A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერები (ორიგინალი კარტრიჯებით).
- სამინისტროს ავტოპარკი განახლებულია 3%-ით:
    - საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულ იქნა 30 ერთეული სამგზავრო ავტობუსის თანხები (აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მოწოდება განხორციელდა 2022 წლის ბოლოს და ღირებულება ანაზღაურებული იქნა 2023 წელს);
    - შეძენილი იქნა 246 ერთეული ოპერატიული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალება (მ.შ Skoda oqtavia 150 ერთეული, Renault Duster 10 ერთეული, Kia Niro Hybrid 70 ერთეული (თანხა ნაწილობრივ ანაზღაურებულია), Kia Rio 16 ერთეული);
    - განხორციელდა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ევაკუატორის MAN - TGL 12.220 4x2 BB CH (მოძრავი პლატფორმით KARBA - KRB-SP-SD-1) შესყიდვა;
    - საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულ იქნა ოპერატიული დანაყოფებისთვის შეძენილი 100 ერთეული სატრანსპორტო საშუალების და 300 ერთეული სპეციალიზებული (პიკაპი) ტიპის სატრანსპორტო საშუალების თანხები (აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მოწოდება განხორციელდა 2021 წელს და ღირებულება ანაზღაურებული იქნა 2022 და 2023 წლებში).
- რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურის დაახლოებით 5%, აშენებულია - 2 შენობა, განხორციელდა:

- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №5-ში მდებარე შენობა №15(1)-ის და №28(1) სადემონტაჟო და ახალი სასაწყობე შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №1(10)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ახალციხეში, რუსთაველის ქ. №91-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შენობა №1(04)-ში, მარნეულში, გოგებაშვილის ქ. №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №01-ში და საგარეჯოში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების სარემონტო სამუშაოები და წალკაში, 25 მარტის ქ. №68-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შენობა №01-ში განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის სარემონტო და პანდუსის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის №1 შენობაში, ქობულეთში, შოთა რუსთაველის ქ. №168ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის №01(4) შენობაში, ლანჩხუთში, ჟორჟლიანის ქ. №124ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის №01 შენობაში, ფოთში, მშვიდობის ქ. №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის №1 შენობაში სარემონტო სამუშაოები;
- გარდაბანში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ობიექტზე, არსებული გაზგაყვანილობის შიდა ქსელის კორექტირების სამუშაოები;
- ქ. რუსთავში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობა №01(2)-ის სარემონტო სამუშაოებისა (სასადილოში გამწოვი ვენტილაციის მოწყობა) და ქ. თბილისში, ავჭალის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შენობა №2/2-ის სარემონტო სამუშაოები (სასადილოში გამწოვი ვენტილაციის მოწყობა);
- ქ, ქუთაისში ჯავახიშვილის ქ. №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შენობა №01-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ჩალაძის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შენობა №1(11)-ის სარემონტო სამუშაოები, ავჭალის ქ. №15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ტერიტორიაზე არსებული ღობის სარემონტო სამუშაოები და ე. მაისურაძის ქ. №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ტერიტორიაზე არსებული ღობის სარემონტო სამუშაოები;

- ქ. თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქ. №12-ში მდებარე, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №09(2)-ს სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, გარე წყალსადენის და სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, პოლიციის ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ლაზარეთის შენობა №4(2), საკონტროლო გამშვები პუნქტი შენობა №3(1) სახურავის, გარე ტერიტორიის განათების, შენობა №12-1, შენობა №11-1, შენობა №10-1 სარემონტო სამუშაოები და ღია ავტოფარეხების სამშენებლო სამუშაოები;
- სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის ქუთაისის დროებითი მოთავსების (განყოფილება) იზოლატორის №1-ის შენობისა და გარე საკანალიზაციო ქსელის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ავჭალის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის გამშვები პუნქტის სამშენებლო, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და შენობების №02(2)-ის და №01(2)-ს სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საწყობების შენობა №11/1-ის, №74/1-ის, №65/1-ის, №06/1-ის და №52-ის სარემონტო და გარე განათების მოწყობის სამუშოების და ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. №38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე ასფალტის შეცვლის სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ადლიას ქუჩა №112-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის დასრულების სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის I მთავარი სამმართველოს ტერიტორიაზე განთავსებული შენობა №6(2)-ის სარემონტო და გარე წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ამბროლაურში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე (ნაკვ.№1) სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ადმინისტრაციული შენობების №01/2, 02/1 და 03/1-ის სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ის სარემონტო სამუშაოების და ქ. თბილისში გ. გულუას ქუჩა №6-ში მდებარე სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შენობა №01(6) აივნების სარემონტო სამუშაოები;

- სოფელ მარტყოფში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისთვის გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოების და შენობა №1-ის სარემონტო სამუშაოები;
- სოფელ მარტყოფში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შენობის მიმდებარედ, სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობა №01(2)-ის (სასადილო) და №02(1)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში გახოკიძის ქ. №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შენობა №01(2)-ში ხანძარაღმომჩენი სიგნალიზაციის მოწყობის სამუშაოები.

5. ინდიკატორის დასახელება - პოლიციელების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს მოსამსახურეთათვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა არაერთი პროექტი. მათ შორის ბოლო წლებში, ექსპლუატაციაში შევიდა და თანამშრომლებს გადაეცათ ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში 166 საცხოვრებელი ბინა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - აშენებულია 1100 ბინიანი „პოლიციის ქალაქი";

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2023 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: სამინისტროს მოსამსახურეთათვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობდა ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 1 100 ბინიანი პოლიციის ქალაქის მშენებლობის მიზნით ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების, საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმის, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები (აღნიშნული პროექტი ხორციელდება 2022-2027 წლებში, ანაზღაურებულია 2023 წელს გადასახდელი თანხები).